# ერი

№9
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბათი, 12 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

პატივცემულ დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. პირაპოზოვი და ზ. გ. ოზანოვი

დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრებ ი.

ველვიური გენუია იდეალი ფლორა.

კნ. პუპი აბაშიძისა ძმისწულებითა და დისწულებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 12 ნოემბერს, 11 საათზე არქიელის გორაზე ღვთისმშობლის ეკლესიაში (ბაგრატის ტაძართან) დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

კნ. ალათი ალექსანდრე მაჭუტაძის ასულის

სულის მოსახსენებლათ.

ღვდელი ილარიონ წიქვაძე გულითადის მწუხარებით აუწყებს გარდაცვალებას ნათესავთა და ნაცნობთ უსაყვარლესი მეუღლის

მაკ-ინე სვიმონის ასულის წიქვაძისას,

რომლის ტირილიც იქნება 13 ნოემბერს, დღით ოთხშაბათს, ხოლო დაკრძალვა მეორე დღეს.

ელექტრო თეატრი „რადიუმი"

ასტა ნილსენ.



ასტა ნილსენ.

11, 12, 13-სა და 14 ნოემბერს დიდებული სურათი.

სუფრაჟისტი ქალი

ხუთმოქმედებიანი მიმიკური პიესა. უმთავრეს როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახიობი ქალი

ასტა ნელსენ

ადგილების ფასი: ლოჟა—4 აბაზი,
პირველი ადგილი—3 აბაზი.
მეორე—2 აბაზი.
მესამე—6 შაური.

მოწაფე ფორმაში, მხოლოდ მეორე ადგილზე—6 შაური. კონტრამარკები და აბონიმენტის ბილეთები არ მიიღება.

დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე.

ქუთაისი
პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება
ქიმიურ-ბაკტერიოლოგიური ლაბორატორია
პროვიზორის
პ. ს. ჩინჩალაძისა.
ვღებულობ ანალიზებს! შარდისას, სიხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.
ბაკტერიოლოგიური გამორკვევა დიფტერიის ბაცილებისა.
ლაბორატორიიდან ეძლევათ ბაქ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.

# განცხადება.

**კავკასიის სამთო გამგეობა აცხადებს, რომ 7 დეკემბერს 1913 წ. მოწვეულ იქმნება ქალაქ ქუთაისში შორაპნის მაზრის შავიქვის მრეწველთა XVI მორიგი კრება, 1-ლი კავკასიის სამთო ოლქის სტაცსკი სოვეტნიკის ინჟენრის აბრამ გრიგორის ძის ცეიტლინის თავჯდომარეობით, შემდეგი საკითხების განსახილველათ:**

I. კრების მდივნის არჩევა.

II. განხილვა ანგარიშებისა: ა) კრების საბჭოსი; ბ) სარევიზიო კომისიისა; გ) ჭიათურის რკ.-გზაზე პლატფორმათა და ვაგონების განმანაწილებელი კომიტეტისა.

III. განხილვა მაღაროების სიმდიდრის სტატისტიკური ცნობებისა, მადნის რაოდენობისა რკინისგზის სადგურებზე და აგრეთვე გაზიდვისა, გადასაზიდ საშვალებათა და საწყობი ადგილებისა, როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარი ლიანდაგზე.

IV. დაწესება ვადისა საფუთო გადასახადის მოკრეფის შესახებ საბჭოს სასარგებლოთ.

V. მადნებისათვის სასმელი წყლის მიწოდების შესახებ.

VI. მდინარე ყვირილას შავიქვის ლექისაგან გაწმენდის შესახებ.

VII. ქიმიური ლაბორატორიის მოწყობის შესახებ ჭიათურაში.

VIII. ქუთაისში და ჭიათურაში შენობათა აგების შესახებ, საბჭოს საჭიროებისათვის და აგრეთვე საზოგადო ბაღის გაკეთების შესახებ ჭიათურაში.

IX. სადგური ჭიათურისა და მთავარი გზების განათება.

X. მისავალი ლიანდაგის გაყვანა შავიქვის რაიონის ხეობებში.

XI. **სარკინიგზო საკითხები:** ა) საბჭოს მიერ ნებართვის აღების შესახებ, რომ ისარგებლოს ამიერკავკასიის რკინისგზის ტელეფონით. ბ) სამგზავრო ვაგონთა განათების გაუმჯობესება; გ) სადგური პუნკტის მოწყობის შესახებ პატარა ჭიქოურაში; დ) სად. შორაპნის გაფართოვების შესახებ; ე) მეორე გზის მოწყობის დაჩქარება სად. დარკვეთსა და ჭიათურას შუა; ვ) საცალფეხო გადასავალი ხიდის გაკეთების შესახებ ჭიათურაში; ზ) მოკირწყვლა და რიგიანათ შენახვა არსებული გზებისა სად. ჭიათურაზე; თ) განათება გზაჯვარედინებისა და საწყობებისა ჭიათურაში; ი) დაწესება სასადგურო ტარიფისა, როგორც მგზავრთა, აგრეთვე ყოველგვარ ბარგზე, გარდა შავიქვისა; კ) გადიდება პირდაპირ მავალ ვაგონებისა ფოთიდან---თფილისამდი, ფოთიდან—ქუთაისამდი, ქუთაისიდან--თფილისამდი, ბათომიდან--ქუთაისამდი და უკან; ლ) მატარებლების დგომის დროის შემცირება სადგურებზე; მ) სხვადასხვა საკითხი, რომელიც ეხება შავიქვის გადატანის გაუმჯობესებას.

XII. მოწესრიგება საკითხისა იმის შესახებ, რომ გამოსავალი წინა მაღაროებისა თავისუფალი იქნეს იმათ უკან მდებარე მაღაროებისათვის.

XIII. რათა გზები, რომელიც მაღაროების წინ მდებარეობს გადაიქცეს საზოგადოების საჭიროებისათვის და მიენიჭოს საბჭოს უფლება მათი განკარგულებისა შავიქვის მრეწველობის საჭიროებისათვის.

XIV. სახელმწიფო ბანკიდან წვრილ მრეწველთათვის სესხის მიცემის შესახებ.

XV. ღონისძიება, თუ როგორ გაინაღდოს საბჭომ უფლება სესხის აღებისა.

XVI. მოსამსახურეთა და მუშათა დაზღვევა.

XVII. ფოთის შავიქვის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა.

XVIII. კრების წესდების იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც კრებაზე ხმების განაწილებას ეხება.

XIX. მოწვევა მეორე მოსიარულე აქიმისა.

XX. გადიშინჯვა საბჭოს მოსამსახურეთა შტატისა.

XXI. განხილვა და დამტკიცება 1914 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

XXII. არჩევა თანამდებობის პირთა.

დაბა ზესტაფონი
აქიმი ლ. დ. ნაზაროვი
მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმმა ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

# ქალაქის თეატრი.

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1913 წელს გაიმართება

## სალიტერატურო საღამო.

I. განყოფილება.

**სამსონ დადიანი** წაიკითხავს ლექციას: „მე-XIX საუკ. ქართული კაზმული ლიტერატურა".

II. განყოფილება

წაიკითხვენ თავის ნაწარმოებთ: **სიტყვა** (ფირცხალავა), გრ. დიასამიძე, დ. თომაშვილი, დ. მესხი, ჯ. ჯორჯიკია, ა. ჭუმბაძე, სეგდიანი, გუცა და სხვ.

---

# განცხადება.

გძელდება ხელისმოწერა ჟურნალ „სასოფლო გაზეთზე": 24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი,

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანათი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ Селскохозьйственноя школа Александру Шаращидзе.

---

# ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს ქალთა წრის საფინანსო კომისია წრის საშვალებათა გასამრავლებლათ გამართავს

## ქართულ საღამოს.

---

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პაროსი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე **ქუთაისშიც.**

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.** თფილისში.

---

# ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ზ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „**ბინიატ-ოღლისა**" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

---

**ა ქ ი მ ი** ვ. ი. **მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

---

**აქიმი** ვ. ა. **ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

**მ. გალანჩივაძისამ**

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.


---

# დ ღ ი უ რ ი

გენერალი სავოვი აცხადებს — სერბიელებსა და ბერძნებზე გალაშქრება მეფე ფერდინანდის ბრძანებით მოხდაო.

— კოკოვცოვმა ბერლინში აღნიშნა გერმანიის ფარული მოქმედება სომხეთის რეფორმების წინაამდეგ.

— საქართველოს ეგზარხოსი 14 ნოემბერს ბალაჯარას მივა.

— ეთმირ ხან-შურაში მიწის ძვრა მოხდა.

— პეტერბურგის მუშებში მასიური ჩხრეკაა. ბევრი მუშა დააპატიმრეს.

— მეფე ფერდინანდმა ბერლინში [illegible] ვა დახმარება. — გერმანიამ დახმარებაზე უარი უთხრა.

— ავსტრიამ მეფე ფერდინანდის პლანები ბულგარეთის საქმეების შესახებ არ მოიწონა.

— ბულგარეთის მთავრობამ გადასწყვიტა — დააკავოს უცხოეთში გასაგზავნი დეპეშები სავოვის გამომჟღავნების შესახებ.

---

# პრემიერი უცხოეთში.

კარგა ხანია, რაც მინისტრთა კაბინეტის თავჯდომარე კოკოვცოვი საზღვარგარეთ მოგზაურობს და ევროპისა და რუსეთის ყურადღებაც ამ მოგზაურობისაკენაა მიმართული. ფრანგი გინდა; იტალიელი, თუ გერმანელი, ყველა პრემიერის ღვაწლსა და შრომაზე სწერს, მასლაათობს ყველა, აღტაცებაშია მოსული რუსეთის მინისტრის „ჯენტლმენობითა" და „ლიბერალობით". ან კი ვით არ აფრთოვანდეს ფრანგი, როდესაც პრემიერი მას პოლიტიკური კურსის ლიბერალურ მიმდინარეობაზე უწყებს მსჯელობას; ვით არ აღმოხდეს მოწონების სიტყვა გერმანელს, როდესაც მინისტრი მას რუსეთის ეკონომიური ზრდა-განვითარების შესახებ ელაპარაკება, და ვით არ აღტყინდეს იტალიელი, რომელსაც კოკოვცოვისაგან ხელოვნების აყვავება ესმის. პრემიერმა კარგათ იცის, სად რა უნდა სთქვას, ვინ რითი მოინადიროს, ვის როგორ აამოს-ასიამოვნოს; რუსეთის „წარჩინებულთაგან" კოკოვცოვი არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელსაც საზღვარგარეთ „ტაბლები" გააქვს და შინ, ოჯახს კი შიმშილის ამარა სტოვებს, რომელიც ყოველ უცხოელს „მომჯადოებლათ" ულიმის და შინ კი თანამემამულეთ განსაკუთრებული რეცეპტებით" სწამლობს...

„ლაპარაკობენ რუსეთის შინაურ პოლიტიკაზე, მაგრამ რაში მდგომარეობს იგი, იმაში ხომ არა, რაშიც მას სახელმწიფო სათათბირო. ან პრესა ხედავს? ეს შეიძლება დიდ ქალაქებისთვის მართალი იყოს, მაგრამ დიდ ცენტრებიდან 100 კილომეტრისა და საგუბერნიო ქალაქებიდან 30 კილომეტრის გაშორებით უკვე ამ პოლიტიკის შესახებ არაფერი იციანო", დაბეჯითებით ეუბნება მინისტრი გერმანელ ჟურნალისტს. თუ „მუნჯური მეთოდით" ვისარგებლებთ, ან ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცულ მუშებს დავსჯით და გაფიცულ მინისტრებს საინტერვიოთ მოსულ გაზეთის კორესპონდენტებთან ვილაპარაკებთ — ეს, მართლაც, ასეა, მაგრამ თუ სინამდვილეს ჩავუკვირდებით და მდგომარეობასაც მიუდგომლათ, სიმართლისა და არა ბიუროკრატიული თვალით ავწონით, მაშინ შეუძლებელია ადამიანმა სთქვას, რომ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური კურსი მართლა სავსებით დამაკმაყოფილებელი იყოს, რომ პროვინციის ყურადღება მარტოოდენ ეკონომიური მხარეებისკენ იყოს მიქცეული და პოლიტიკური კითხვები მას არ აინტერესებდეს. რა გარანტია აქვს პრემიერ-მინისტრს სთქვას, რომ საგუბერნიო ქალაქიდან 30 კილომეტრის მოშორებით „პოლიტიკა" არავის აინტერესებსო? ნუთუ პროვინციელთა დუმილი, იმ პროვინციელთა, რომელნიც არც ისე სდუმან, როგორც ეს ოპტიმისტ მინისტრს ეჩვენება, და თუ სდუმან, მხოლოდ იმავე პოლიტიკის მეოხებითა და ძალდატანებით, რომელსაც სახელმწიფოს შინაგანი პოლიტიკის ხელმძღვანელები აწარმოებენ? შესაძლოა, რუსეთის ვრცელი და თვალუწვდენელი მიდამოების ერთი ნაწილი დღეს მართლაც სფინქსსავით სდუმდეს, მაგრამ არა გვგონია დუმილი იგი კმაყოფილების გამომხატველი და გამომსახველი იყოს, სდუმს რუსის გლეხი, მაგრამ არა სდუმს მისი სული, მისი გული, მისი გრძნობა და აზროვნება, ან კი ვით შეუძლია სდუმდეს, როდესაც რუსეთის თანამედროვე სინამდვილე მწვავე სიმძიმით დასწოლია თავს და საბედისწერო ყორანივით დაფარფაშობს მის კეთილდღეობას? თუ საერთოდ ყველგან არა, ბევრგან მაინც, გრძნობასა და აზროვნებასთან ერთად არც ენა სდუმს და ხშირია პროტესტები პოლიტიკური უშინაარსობის გამო მათი მხრით, ვისაც, კოკოვცოვის სიტყვით, „პოლიტიკა" არ აინტერესებს. ამ უკანასკნელ წლებში რუსეთის დემოკრატიას ფრიად დიდი სიფხიზლე ეტყობა, უთვალავია სიმპტომი იმის, რომ „ბედით კმაყოფილთა" რიცხვი ფრიად მცირეა, და ან ვით შეიძლება დემოკრატია კმაყოფილი იქ, სადაც „რეაქციონური ბურჟუაზიაც" კი მთავრობას „უკიდურეს რეაქციონერობას უყიჟებს და ვაჭარ-სალაზკინების პირით 17 ოკტომბრის მანიფესტის განხორციელებაზე უთითებს იმავე პრემიერ კოკოვცოვს? „რუსეთის კეთილმდგომარეობა „ამაღლდაო", უთხრა კოკოვცოვმა იმავე კორესპონდენტებს, რომელთან საუბრის დროსაც რუსეთის სინამდვილე დავიწყებია და ევროპაში მყოფს თავი ევროპიელათ წარმოუდგენია. საჭიროა ვიცოდეთ, რა გვარათ, ან რით ამაღლდა რუსეთის კეთილმდგომარეობა? იქნება, რიტუალური პროცესებით, ან ისეთი კულტურულისა და მეცნიერული საზოგადოების დახურვით, როგორც ხარკოვისა და სხვა მედიცინური საზოგადოება იყო? უკმაყოფილებაზე ამ ჟამათ ზოგჯერ ხმამაღლა ძახილიცაა, და თუ ვინმე სდუმს, განა ეს დუმილი მოასწავებს კმაყოფილებას? არა... მაგრამ მინისტრს ევროპაში, ლაპარაკიც „ევროპიულათ" მართებს... **იმერი.**

---

# ქართული პრესა.

„თემის" უკანასკნელ ნუმერში ბ-ნი ივ. გომართელი მოკლეთ, მაგრამ გადაჭრით აღნიშნავს დასელთა სიყალბეს ეროვნულ საკითხში და სწერს:

„მესამე დასის სიყალბეს ეროვნული საკითხის აბუჩათ აგდება შეადგენს, მე ეს ბევრჯერ მითქვამს და ვიტყვი, ეროვნული საკითხის უარყოფაა უმთავრესი მიზეზი დასის დამარცხებისა ქუთაისის გუბერნიაში.

თფილისის გამარჯვება ჩემთვის დამარცხებაზე უარესია. შემდეგში კიდევ მეტი დამარცხებაა აუცილებელი, თუ დასმა ეროვნული საკითხი ჯეროვანის ყურადღებით არ გადასჭრა".

„Это—щука, тебѣ наука"-ო! ამბობს რუსული არაკი და ჩვენებური დასელებიც საჭიროა საკმაოთ ჩაუკვირდენ ბ-ნი გომართელის სიტყვებს. თუ „თფილი ადგილების პარტიას" არაფერი დაეჯე-

---

# ებრაელის ბედი.

(თარგმანი).

ჯერ გათენებული არ იყო, როცა გლეხები გავიდენ ხიდზე. ხიდის ქვევიდან მათ შემოესმათ კვნესა—ტირილის მზგავსი ხმა, მაგრამ ეს ხმა ადამიანის ხმათ ვერ შეიცნეს. ბევრმა შიშით მოუჩქარა ფეხს: ეგონათ—ავი სული, ქაჯი გვაშინებსო.

მზე უკვე ამოსული იყო, როცა ხიდთან წყლის პირს მივიდა მრეცხავი ქალი მარიამი. ამასაც მოესმა ეს ხმა, მიატოვა სარეცხი, გაყვა ხმას და დაინახა ხუჭუჭა—თმიანი პატარა ბავში, რომელიც გაყვითლებული ხელებით უსულო დედის გვამს ებღაუჭებოდა. მარიამს გული სიბრალულით აევსო, აიყვანა ბავში და შინ წავიდა. გზაში, ყველას უამბობდა ბავშის ამბავს და ყველას ძლიერ ეცოდებოდა პატარა და უწონებდენ მარიამს, რომ მას, უშვილოს, განეზრახა ამ ბავშის შვილათ აყვანა, გაზდა-პატრონობა. ცოლ-ქმარის სიხარულს საზღვარი არ ქონდა; ისინი უფალს მადლობას სწირავდენ, რომ უშვილოებს ძე გაუჩინა; სიბერის დროს იგი მათ უპატრონებდა. მაგრამ მათ სიხარულს დროებით შეეკვეცა ფრთები: პოლიციის გამოძიებით დამტკიცდა, რომ ნახული ბავში ებრაელი იყო. ახალმა „მშობლებმა" ჩქარა მონათლეს ბავში და სოფელშიც მისწყდა მითქმა-მოთქმა. მხოლოდ ღვდელი ცივათ უყურებდა კეთილისმყოფელ „მშობლებს". პირდაპირ არ ამბობდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მას ამისი თქმა სურდა: რიგი ის იყო,—ქრისტიანი გეშვილებიათო...

ბავში იზდებოდა სოფელში. ბევრს კიდეც დაავიწყდა, რომ ის ებრაელი იყო; ბავშები ხშირათ უწოდებდენ მას „ურიას", მაგრამ ამ დაძახილში ზიზღი სრულებით არ ჩანდა. თვითონ ბავშიც მკვირცხლათ გასცემდა ხოლმე ხმას ამ სახელით დამძახებელს.

მაგრამ მალე დარწმუნდა პატარა ებრაელი, რომ იმ სახელწოდებაში რაღაცა დაცინვაცა და ზიზღიც იმალებოდა. ერთჯერ საყდარში ღვდელი ქადაგებდა ქრისტეს ტანჯვა-წამებაზე. პატარა ხოზემ კარგათ იცოდა, თუ როგორ უნდა დაეჭირა თავი საყდარში და იჯდა თავისთვის, ისე როგორც სხვები. მაგრამ მან მაინც მიიქცია ხალხის ყურადღება. ღვდელიც ხომ თვალს არ აშორებდა პატარა ებრაელს.

ხოზეს შეეშინდა, შეკრთა და გვერდს ეკვროდა დედობილს, უნდოდა ეკითხა, თუ რათ უყურებდა ასე მკაცრათ მას ღვდელი. მაგრამ მარიამს, რომელიც წინათ ერთჯერაც არ გასწყრომია ბავშს, ისეთი თვალით შეხედა ხოზეს, რომ ის უარესათ შეშინდა და კინაღამ ატირდა. ახლა ყველა, დიდი და პატარა, ხოზესკენ იცქირებოდა. თვითონ მარიამი ბავშზე არა ნაკლებათ შეკრთა და აწუხებდა ბავშის ბედი.

გამოვიდენ თუ არა საყდრიდან, მარიამმა სტაცა ხელი ბავშს და შინისკენ გაქანდა. ის გულჩათხრობილი და სევდიანი მიქროდა; ბავში მდუმარეთ მიყვებოდა. უნდოდა დალაპარაკებოდა დედას, მაგრამ ვერა ბედავდა.

ერთმა ქალმა მათ გვერდით ჩაუარა. მას პატარა ქალი მიყვებოდა, ქალიშვილმა ხოზეს მრისხანეთ გადმოხედა და ხმამაღლა წამოიძახა:—საძაგელი! შენ საზიზღარი და ბოროტი ბავში ხარ! ხოზეს ცრემლი მოერია. ღმერთო! ნეტა რა ჩაიდინა მან ისეთი, რომ საძაგელს უწოდებენ? ბავში ფიქრობდა, შინ რომ მივალ, დანაშაულისთვის დამსჯიანო, თუმც სრულებით არ იცოდა რა დანაშაული მიუძღოდა. ბავშს კიდეც უხაროდა. დამსჯიანო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. არავინ ფიქრობდა ბავშის დასჯას, დედა ჩვეულებრივათ ალერსით ეპყრობოდა. მამაც ლმობიერათ უცქერდა. მაგრამ საკვირველი იყო—შინ მისმა „მშობლებმა" ძლიერ მოიწყინეს... და პატარა ებრაელს ნორჩი გული უკვდებოდა.

ერთ საღამოს ბავშები ქუჩაში თამაშობდენ. ხოზეს არ უნდოდა მათთან გასვლა, მაგრამ თვალი მოკრა იმ გოგოს, რომელმაც მას „საძაგელი" უწოდა. ხოზე გაბედულათ მიიჭრა მასთან.

— რათ მიწოდე მე შენ საძაგელი? თუ მეტყვი, ამ ვაშლს მოგცემ;—ხედავ —რა სისხლივით წითელია!

— იმიტომ, რომ შენ საძაგელი ხარ! იმიტომ, რომ შენ ბოროტი ხარ და აწამე უფალი ჩვენი იესო ქრისტე!

—მომეცი ვაშლი!

ხოზემ მისცა. ხედავდა, რომ ბავში ბოროტი არ იყო,—ამბობდა მხოლოდ მას, რაიც სხვები ამბობდენ საწყალ ებრაელზე. ამას შემდეგ ხოზე გაურბოდა ბავშებს, არ ეკარებოდა მათ, მაგრამ თვითონ ბავშები არ აძლევდენ მოსვენებას, ლანძღავდენ, სცემდენ კიდეც. ნამეტნავათ ბოროტი მანუელი აწამებდა ხოზეს! მანუელი ამხანაგებს აქეზებდა, რომ დადევნებოდენ ებრაელს. ბევრჯერ დაბრუნებულა შინ ხოზე მტირალი და სისხლში მოსვრილი.

ხოზე შკოლაში მისცეს. მასწავლებელმა ის ცალკე, თავის ახლოს დასვა, რომ ბავშებს შემთხვევა არ ქონოდათ ეწვალებიათ. პირველათ ბავშები კმაყოფილი იყვენ პატარა „ურიის" ამგვარათ დასჯის, მაგრამ ხოზე ნიჭიერი ბავში იყო, მასწავლებელს ძლიერ უყვარდა და ხშირათ ეუბნებოდა ბავშებს, რომ მათაც მუყაითად მოეკიდათ ხელი საქმისთვის, ებეჯითნათ ისე, როგორც ხოზე ბეჯითობდა. ამ გარემოებამ ძალიან აალელვა ბავშები. ისინი შურით უცქერდენ ხოზეს და ხელი მიყვეს კვლავ მის წამებას. გზაში სცემდენ მას, ამიტომ მასწავლებელი ასე მოიქცა: ხოზეს ნახევარი საათით ადრე უშვებდა, რომ ბავშები მას არ დაწეოდენ.

ერთ დღეს მასწავლებელს დაავიწყდა, ხოზე ადრე გაეშვა. ბავშმა არჩია თვითონ დარჩენილიყო შკოლაში, სანამ ყველა არ წავიდოდა.

მაგრამ რამდენიმე ბავში მანუელის მეთაურობით გზაში ჩაუსაფრდა მას, და როცა ხოზემ გაიარა, მანუელმა ფეხი დაუხვედრა. ბავში ძირს გაიშხლართა და სახე დაუსისხლიანდა. ბავშები შემოეხვიენ დაცემულ ებრაელს და დასცინოდენ. ხოზეს პატარა გული მტარვალთადმი რისხვით აივსო. ის გახელებული ეცა მანუელს, დასცა ძირს და დაუწყო შეუბრალებლათ ცემა. სხვა ბავშებმა ქვას მოკიდეს ხელი—ხოზეს ჩაქოლვა უნდოდათ, მაგრამ ბედათ მოჩხუბართ ახლოს ქალებმა გაიარეს და ბავშებს ჩხუბი შეაწყვეტიეს. ამას შემდეგ ბავშები ცემაწვალებას ვეღარ უბედავდენ ხოზეს, მაგრამ გულში ინახავდენ მისდამი შურსა და მტრობას.

—

ხოზე წამოიზარდა. ძალიან შრომის მოყვარე ყმაწვილი იყო. გლეხები პატივს სცემდენ მას თუმცა მაინც ეზიზღებოდათ „სხვისი შვილი".

ბავშობის მწარე ხანამ თავისებური დაღი დაასვა ხოზეს სულსა და გულს. მას მარტოობა უყვარდა და მხიარულობას გაურბოდა, თუმცა ამასთანვე ახალგაზდა გული მეგობრისადმი იწევდა. და ერთჯერ იგემა ხოზემ ტკბილი წუთები... ის სხვა სოფელს წავიდა სამუშაოთ. იქ მას ბევრი ამხანაგი ქალვაჟი ყავდა. ამათთან ხოზე ისე ცხოვრობდა, როგორც ძმა-ძმასთან. იქ მან გაიცნო ლამაზი ნესეტა და დაუახლოვდა მას...

— ნუ სწუხარ, ძვირფასო ნესეტა!— უთხრა მან გამოთხოვებისას თავის სატრფოს. კიდევ ერთი წელიწადი და ჩვენ ერთმანეთს ვერაფერი ვერ დაგვაშორებს.. მაგრამ—გაიფიქრა ხოზემ:—რომ გაიგონ ჩემი ვინაობა ამისმა მშობლებმა? შეიძლება თვითონ ნესეტაც არ გამეკაროს მე, „ურიას... და საშინლათ დაღონდა!"

ერთ ღამეს ხოზე ნესეტას სოფელში შევიდა. დაპირებისამებ ნესეტა „სასოფლო დარბაზში" უნდა ენახა, სადაც უქმე დღეს დროს გასატარებლათ იკრიბებოდა სოფლის ახალგაზდობა. მუზიკა უკრავდა. დარბაზში ცეკვავდენ. ხოზეს შესვლა არ უნდოდა, მაგრამ ვერ გასძლო მისი გული ნესეტასკენ იწევდა. შევიდა. ნესეტამ, რომელიც ამ დროს მოხდენილათ ცეკვავდა ვიღაცა ყმაწვილთან, შენიშნა ხოზე და გაუღიმა. მაგრამ მალე მიიმალა. ხოზეს გული ჩასწყდა! დიდხანს სძებნა და ბოლოს თვალი მოკრა მანუელთან ერთად ჯდომარეს. ხოზე მივიდა მასთან. ქალმა ზიზღით შეხედა:

— მომშორდი! მე არ მეგონა, თუ შენ „ურია" იყავი...

ხოზეს სისხლი თავში აუვარდა, გაცოფდა! მრისხანათ შეხედა მანუელს და ანიშნა—გარეთ გამოდიო. მანუელი გაყვა. ხოზე თავდავიწყებული თავის მტერს ყელში სწვდა.

გავიდა რამდენიმე წუთი. მუზიკა კვლავ გაისმა. ცეკვა გაჩაღდა.. უცებ დარბაზში შემოვარდა ტანისამოს შემოგლეჯილი, სისხლში მოსვრილი ხოზე. მისი ყელიდან სისხლი მოსჩქეფდა. თვალებს საზარლათ აბრიალებდა. მხიარულ ხალხს გული შიშით აევსო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხოზეს თანდათან ეცლებოდა სასიცოცხლო ძალა. ის ქანაობით მივიდა ნესეტასთან. წაბორძიკდა, და უსულოთ გაენართხა მის ფეხთით.

**გერასიმე.**

რება, ბ. გომართლმა რაღა დააშავა, მისთვის „ხომ მაინც არავის შეუძლევია ადგილი"? მაგრამ ამაზე ცალკე, ხვალ.

# ახალი ამბავი.

მეფის მოადგილემ დაამტკიცა ქუთაისის მაზრის წინამძღოლებათ დ. ო. ნიჟარაძე, შორაპნისა—ალ. (პეტრე) ალ. წერეთელი, ოზურგეთისა—კ. დ. ერისთავი რაჭისა—დ. ი. ჯაფარიძე და სენაკისა—ნ. ნ. დადიანი. ამათ თანაშემწეებათ: ქუთაისისა—იზ სპ. მესხი. შორაპნის—არჩ. ს. მაჭავარიანი, ოზურგეთისა—ვ. ს. ხუნდაძე, რაჭის—ა. ი. კვიტაშვილი, ზუგდიდისა—ნ. კ. დადიანი და სენაკისა—ივ. ელ. დადიანი.

ამ სახით არაა დამტკიცებული მხოლოდ ლეჩხუმისა და ზუგდიდისაც. წინამძღოლის გადაცვალების გამო, თანამდებობას თანაშემწე შეასრულებს.

დეპუტატებათ: ქუთაისისა—ივ. ბერ. ნიჟარაძე, შორაპნის—ზ. კ. მაჭავარიანი, ოზურგეთისა ბეჟ. გ. ნაკაშიძე, რაჭისა—ს. ი. მხეიძე, ზუგდიდისა დ. ხ. ქვანია და სენაკისა—ვ. ზ. ჩაჩიბაია. მდივნათ—დ. ბ. მდივანი.

✦ დეპუტატთა საკრებულოს ცნობა მოუვიდა თფილისიდან დ. ო. ნიჟარაძისგან, რომ ჩემს ჩამოსვლამდი ნუ მოიწვევთ თავად-აზნაურთა კრებას, ჩამოვალ და თვით დავნიშნავ კრების დღესაო.

✦ ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება ფრიად საგულისხმო სალიტერატურო საღამო, რომელშიც მონაწილეობენ: სიტყვა (ფირცხალავა) გრ. დიასამიძე, სამს. დადიანი, დ. თომაშვილი დ. მესხი, ჯ. ჯორჯიკია, ა. ჭუმბაძე, გუცა, სევდიანი და სხვ.

✦ ანტონ ფურცელაძის გადაცვალების გამო ჭირისუფლებს ქუთაისიდან შემდეგი შინაარსის დეპეში გაეგზავნა.

წერა-კ. გ. ს. ქუთ. განყოფილებისაგან: „გამგეობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ნიკოლოზის ძის ხსოვნას და სამძიმარს უთვლის განსვენებულის ოჯახობას".

ქუთაისის ქალ. თვითმართველობისგან: „ქუთაისის ქალაქის თვიმართველობა გულწრფელ მწუხარებას გამოსთქვამს ანტონ ფურცელაძის გადაცვალების გამო. იგი ბრწყინვალე გამომხატველი იყო მესამოცე წლების ნათელი იდეებისა, მოწმე და აქტიური მონაწილე ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისა. ჩვენს ერს და სათაყვანებელ სამშობლოს ანტონ ფურცელაძემ შესწირა ყველა საუკეთესო განზრახვა და სიყვარულით ანთებული გული".

✦ სამტრედიიდან ხონამდი რკინის გზის გაყვანა განუზრახავთო, ხონში ინჟინერიც ჩასულა გზის გამოსაკვლევათ. გზა კავკასიის რკინის გზის გამგეობას გაყავსო. არ ვიცით, რამდენათ მართალია ეს ცნობა.

✦ ერთ კვირაზე მეტია, რაც ქუთაისში შინაური ფრინველებისა და ყურდღლების გამოფენაა. ხალხი გამოფენაზე ბლომათ დადიოდა. გამოფენის მომწყობთ აზრათ აქვთ ხალხში გაავრცელონ შინაური ფრინველების კულტურულათ მოშენების საქმე. გუშინ გამოფენა გორისკენ გაემგზავრა.

✦ დღეს ხონის საკრებულო ტაძარში პანაშვიდს გადაიხდიან ანტონ ფურცელაძის სულის მოსახსენებლათ.

✦ დააპატიმრეს „თანამედროვე ქვეყნის" რედაკტორი ნ. ჯანელიძე.

✦ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამათ ერთობ ცოტა სიმიდის ფქვილი შემოდის. ხელმოკლე მცხოვრებნი შევიწროებული იყვენ ჯერ სიძვირითაც და ახლა სულ აღარ შემოდის.

✦ ჭიათურის მახლობლათ სოფ. სვერში 7 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე შვიდი შეიარაღებული კაცი თავს დასხმია გლეხს მურმანა ხოსიკაშვილს. მასპინძელი თავისი ორი შვილით და ერთი ნასალდათარი სტუმრით მარჯვეთ დაუხვდა მისულებს. მოკლეს ერთი შეიარაღებულთაგანი და დასჭრეს სამი. ოთხი ტყვიის დახლით მისულებმა მოკლეს მურ. ხოსიკაშვილი და დასჭრეს ერთი მისი შვილი. ავაზაკებმა მკვდარი მოიტაცეს, ტყეში დამალეს და თვითონ გაუდგენ გზას.

**შეცთომის გასწორება:** „ერის" მე-8 №-ში გ. გველესიანის წერილში („ანტ. ფურცელაძის დაკრძალვის დღეს"), სხვათა შორის, შემდეგი შეცდომებია: დაბეჭდილია მეორე სვეტში, ზევიდან მეთორმეტე სტრიქ.:—რომელთაც მშრომელი ერის.. უნდა იყოს —მშობელი ერის. მესამე სვეტში, ზევიდან მეცხრამეტე სტრიქ.: დაბეჭდილია—საზოგადოებრივ სამრეწველო მოღვაწეობას... უნდა იყოს სამწერლო მოღვაწეობას და სხვ.

# უფროსის ასული.

მსახური გოგო ოჯახში იგივეა, რაც ბისმარკი იყო ფრიდრიჰ ვილჰელმისთვის. გოგომ ყველაფერი იცის, რაც ოჯახში ხდება, ან უნდა მოხდეს. გოგო იცნობს ქალბატონის სუსტ მხარეს. ვაჟბატონის თავისუფალ საქციელს, როცა დიასახლისი შინ არ ეგულება; იცის—რამდენჯერ ბატონი ქალბატონს თითებით თმებს დაუვარცხნის, და ისიც კი იცის—ოთახში ჩუმათ რაზე ჩურჩულებენ.

ამიტომაც იყო, რომ იმ საქმის გასარკვევათ, რომელიც ძალიან მაწუხებდა, ჩემი უფროსის გოგოს მივმართე.

საქმე ასე იყო:

ჩემი უფროსი გაცნობის დღიდან დიდი ყურადღებით მომეპყრო. კარგი ადგილი მომცა, შინ ხშირათ მეპატიჟებოდა და ჩემს ალტაცებას საზღვარი არა ქონდა.

მაგრამ ამ ბოლოს რაღაც...

ჩემმა უფროსმა თუმცა გადაკვრით, მაგრამ მაინც გამოსთქვა ის აზრი, რომ მალე დამითხოვდა...

ამ გარემოებამ შემაძრწუნა და უფროსის მსახურ გოგოს მივმართე, რომ შემეტყო მიზეზი ასეთი მკაცრი დადგენილებისა...

მოსამსახურე გოგო ჯერ გაჯიუტდა, მაგრამ მალე მოლბა და შემდეგი მიამბო:—

—„მე თქვენი გვარი ხშირათ გამიგონია... ქალბატონი ხშირათ გახსენებთ. ბატონის ასული, რომელიც მოსკოვში სწავლობს, ქალბატონს უნდოდა თქვენ შეგერთო... არც ბატონი იყო წინააღმდეგი. მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვიდან ერთი სტუდენტი ჩამოვიდა და სთქვა, ვითომ ჩემი ბატონის ასულს იქ ვიღაცა შეყვარებოდეს. ბატონი და ქალბატონი ორივე შეწუხდა ამ ამბით, და როდესაც თქვენი სიძობა გაუცრუვდათ, ბატონმაც ზურგი გიქცია.

— მაშ ახლა უეჭველათ დამითხოვენ სამსახურიდან?

— არ ვიცი. ქალბატონმა წერილი მისწერა ქალიშვილს. თქვენს ბედს, მგონია პასუხი გადაწყვეტს. ბატონმა პირდაპირ სთქვა, რომ თქვენთვის ადგილი კი არ უშოვია, არამედ შექმნა.

— როდის, როდის მისწერა წერილი?

— დიდი ხანია, პასუხს დღეს მოელოდა, მაგრამ, ხვალ უეჭველათ მიიღებს.

— როგორ გავიგო წერილის შინაარსი?

— შინაარსი? იოლათ:—ხვალ ბატონს წვეულება აქვს, თუ მოგიწვია, საქმე კარგათ იქნება.

ჩემი ბედის წყდებოდა.

არა მგონია, თუ ჰამლეტი ისე მოუთმენლათ მოელოდა თავის მამის აჩრდილის ნახვას, ან ბონაპარტე ვატერლოს მიდამოზე სარდალი გრუშის მოსვლას, როგორც მე ვნატრობდი მეორე დღის გათენებას.

დილით სამსახურში წაველი. ნემსებზე ვიჯექი. ამაოთ! სამსახური უკვე გათავდა და მეც შინ წასასვლელათ ვემზადები...

— ყაწვილო! ჩემმა მეუღლემ საღამოს ვახშამზე მოგიწვიათ.

ტკბილ მუსიკათ მომესმა უფროსის ხმა.

— გეახლებით, ბატონო,—მიუგე მე. დავმკვიდრდი ადგილზე.

**ჯ. ჯორჯიკია.**

# მზის წარმოშობა.

**ნიკოლოზ დ...**

„და სული ღვთისა იქცეოდა წყალთა ზედა".

**შექმნათა, წიგნი I.**

სახეუჩინარს, უსაზღვრო სივრცეს გარს ეხვეოდა უქვრეტი რიდე უკუნი ბნელისა და ლილის ფერი წყალი, კუპრის ქაფათ ქცეული, უტეხი მრისხანებით ასკდებოდა ჯერ კიდევ საზღვარდაუდებელ მსოფლიოს კიდეთ.

ტალღა ტალღას ეკიდებოდა და თვალუწვდენ, ბუმბერაზ გორგლებათ ამბოხებული, ყრუ გმინვით თავს ედგმებოდა აქა-იქ, უდაბნოს ბორცვებივით ამოშვერილს უსიცოცხლო მთათა წვერვალს.

და ირყეოდა ზესკნელ-ქვესკნელი, ერთს ქაოტიურ ბურთად ქცეული;

დაუგეშელი მძლეობა სამყაროს სიცოცხლის წყურვილისა დედა-ბოძს ეძებდა, მტკიცე მთავარ ლერძს, რათა დაუსრულებელი ტრიალით ზედ დაეხვია თავისი უტეხი ჟინი და მრისხანებისაგან ეშვა მყუდროება, ხოლო ქაოსისაგან შევენების რაგინდ რაფერი სახე.

უკურნებელი ჰმუნვით პყრობილი, დაქროდა წყალთა ზედა ღვთიური სული და მის სრბოლას არ ქონდა დასასრული:

იგი სიცოცხლეს ეძებდა, სიცოცხლეს სიტკბო-სიმწარით შეზავებულს და მით სანატრელს.

ეძებდა და ღონეგმო ძახილით აყრუებდა გარემოცულ უსახოებას, და აჰა, იქ, სადაც შემდგომ კაშკაში ბრწყინვალებით დაისახა აღმოსავლეთი, თვალის მომჭრელი ელვარებით უკუნეთს გამოეყო უცნაური ვინმე არსი, კრთომით მიმოავლო თვალი განუჭვრეტელ ბურუსს და საუკუნოებიდან დადუმებულ მის ბაგეთ ანაზდათ აღმოხდა პირველი სიტყვა...

სიტყვა იგი ხმა იყო სიყვარულისა!

მყის მიყუჩდა ამბოხებული ქაოსი და დამცხრალს, შავ-ბნელ წყალთა ზედა უხმო სრიალით ერთმანეთისკენ გაექანა ორი ვინმე:

დამწუხრებული ღვთიური სული და ქალწული—წყარო სიყვარულისა...

წუთი, მხოლოდ ერთი წუთი...

და განუწყვრებლათ ერთმანეთს შეთვისებული ორი არსება განცეთელი სიამის სიდიადემ დასწვა და ცის კამარას ცეცხლის ბურთად ავარდა მათი სიყვარული.

ასე იშვა მზე ბრწყინვალე, სიცოცხლის დასაბამი! **ა. ჭუმბაძე.**

ქუთაისი, ნოემბერი.

# წერილი პეტერბურგიდან.

28 ოკტომბერს, დილით წაველი უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენათ. როდესაც მივედი, დავინახე—ყველა შესავალ კარებთან პოლიციელები თოფებით. შევალე კარები ყველა კიბე-კარი დაკავებული იყო პოლიციელებისაგან; მეორე სართულში კარებთან იდგენ ბოქაულები და პოლიცმეისტერი. სამის ნახევარზე დასრულდა ლექციები. გარეთ ჯგუფ-ჯგუფათ იდგენ სტუდენტები და ცხარეთ კამათობდენ. ამ ჯგუფებიდან სრულიად გამოყოფოდა რამდენიმე სტუდენტი. „ესენი საშიში ხალხიაო—მითხრეს, „აკადემისტები" არიანო", ეს ვაჟბატონები მოსულან იმ აზრით, რომ პროფესორი კოსოროტოვისთვის გაემართათ ოვაცია ბეილისის საქმის გამო, თუმცა ამ დღეს კოსორატოვის ლექცია არ იყო დანიშნული.

აკადემისტებმა გამოაკრეს განცხადება, რომ დღეს კოსოროტოვი კითხულობს ლექციასო. დერეფანში გამოჩნდა შენობის ზედამხედველი და სთხოვა სტუდენტობას დაშლილიყვენ, მასთან გამოაცხადა, რომ კოსოროტოვი დღეს ლექციას არ კითხულობსო. ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა პრორექტორი და წინადადება მისცა, სტუდენტებს დაშლილიყვენ, რადგან კოსოროტოვი ლექციას დღეს არ წაიკითხავსო. ის იყო, სტუდენტობამ მოინდომა დაშლა და გაეშურენ გასავალი კარებისკენ, რომ უცებ მოიგლიჯა ლენტი ერთმა აკადემისტმა ხმამაღლა დაიყვირა: „კრებაზე ამხანაგებო!" რასაკვირველია, ამ მოწოდებას ყური არ ვათხოვეთ, მაგრამ იმ ხმაზე პოლიციელებმა დაიკავეს მთელი დერეფანი და არც აქით არც იქით აღარ გვქონდა საშვალება წასულვიყავით, ზოგმა მოახერხა გაპარვა, პოლიციელების ხელში დავრჩით 184 კაცი, ამათ რიცხვში 44 აკადემისტიც, რომელითა წყალობითაც გავებით მახეში სრულიად უდანაშაულონი. ჩამოგვართვეს შესავალი ბილეთები და „მატრიკულები" რას შემდეგაც აგვეკრძალა უნივერსიტეტში სიარული და ლექციების მოსმენა. აკადემისტებს-კი განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და დიდის პატივისცემით გაისტუმრეს. 30-ს დეპეშით დაიბარა პეტერბურგის ოლქის მზრუნველმა ჩაწერილი სტუდენტები, ჩამოართვა ჩვენება და, როგორც ხმა დადის, მოხსენებას წარუდგენს სახალხო განათლების მინისტრს.

მზრუნველი სტუდენტებს მამაშვილურათ ემუსაიფებოდა; როდესაც პრუტჩენკომ 189 კაცის დაკითხვა დაასრულა, დაიბარა აკადემისტები და მადლობა გადაუხადა წესიერების დაცვისათვის უნივერსიტეტში.

ამ შემთხვევამ პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და სახელმწიფო სათათბიროშიაც შეიტანეს შეკითხვა.

**შ. ახვლედიანი.**

# დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ).

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** კომისია განაგრძობს განხილვას პრესის საქმეთა კანონპროექტისას. მსჯელობენ დროული გამოცემის გამოშვების შესახებ. შრომის ჯგუფის წევრს სუხანოვს ეს მუხლი პრესის თავისუფლების შევიწროვებათ მიაჩნია. კადეტი გრონსკის აზრით პროექტის ეს მუხლი მოქალაქეებს სრულუფლებიანათ და არა სრულუფლებიანათ ყოფს. ბენიგსენი იგონებს შვეციის მაგალითს. იქ ამ დღეებში გამოსულა პრესის საქმეთა შესახებ კანონი. ეს კანონი ევროპის შვეციას აზიის შვეციისაგან აცალკევებს თურმე. ახალი კანონის ძალით სტამბა უნდა გაიხსნას ქალაქიდან არა უშორეს ექვსი კილომეტრისა. გრაფი კაპნისტი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოყვება ამ მხრით სოფლის ქალაქთან გათანასწორებას. ამბობს:—პროექტის ცხოვრებაში გატარებას მოყვება სოფლათ პრესაზე დარაჯის უფროსების თვალყურის დევნება. გრონსკი აცხადებს:—ჩემ მიერ აღძრულ საკითხს პრინციპიალური ხასიათი აქვს, ვინაიდან სოფლებში, სადაც სტამბაც კი არ არსებობს, ძნელია გაზეთის გამოცემაო. თავადი ვოლკონსკი თხოულობს, დავადგინოთ, რომ სტამბის დაარსება და გაზეთის გამოცემა იმ სოფელში შეიძლებოდეს, რომელშიც მცხოვრებთა რიცხვი ხუთი ათასზე ნაკლები არ იქნებაო. პურიშკევიჩი აღნიშნავს სოფლათ მემარცხენეთა აგიტაციას. აგიტაციას ეწევიან გაზეთის ფურცლების საშვალებითო. თხოულობს, რომ ეს საქმე სოფლათ შეზღუდული იქნას. მომხსენებელი ბენიგსენი ამბობს ქალაქებისა და სოფლების განცალკევება წმინდა პრაკტიკული მოსაზრებით მოვახდინეთო. სოფლათ არ არის ამ თანამდებობის კომპენტენტიური პირებიო. ბენიგსენი თხოულობს სტამბის დაარსებისა და გაზეთის გამოცემისათვის საჭიროთ გავხადოთ, რომ მცხოვრებთა რიცხვი ათი ათას უდრიდესო, პურიშკევიჩი ამ განსაზღვრის წინააღმდეგია. პურიშკევიჩს პასუხს აძლევს მილიუკოვი. ორატორი ეხება მცხოვრებთა რიცხვის განსაზღვრას. მას ეს განსაზღვრა უკანონოთ მიაჩნია. ლაპარაკობს შინაურ საქმეთა მინისტრი. იგი ამბობს:—სოფლათ პრესის თვალყურის გდება შეიძლება მივანდოთ ადმინისტრაციის დაბალ მოხელეებს. უნდა მოვაწყოთ ამის შესაფერი ორგანიზაცია. ამ საქმეში ბევრი დაბრკოლება შეგვხვდება, ამიტომ გაზეთის გამოცემის ნებართვა დამოკიდებული უნდა იყოს ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან.

პურიშკევიჩი ამბობს:—ოპოზიცია ცდილობს სოფლათ მემარცხენე პრესის შექმნას. ეს პრესა ვრცელდება და ფეხს იკიდებს ებრაელთა დახმარებით. მილიუკოვის აზრით, პურიშკევიჩის ბრალდება ებრაელებზე, ვითომ ებრაელები ოპოზიციონურ პრესას მხარს უჭერდენ, ერთგვარი სისულელეა, რომლის წინააღმდეგ მტკიცებაც პურიშკევიჩთან შეუძლებელიაო. მილიუკოვის ამ საკითხის გამო ალექსეევი [illegible].

**პეტერბურგი.** [illegible] მინისტრომ სათათბიროში შეიტანა სა[illegible]კან ნმდებლო წინადადება კომერციულ შკოლებში აღმოსავლეთის ენების სწავლების შესახებ.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში 1914 წელს დაწყებითი განათლების საჭიროებისათვის ცხრა მილიონი მანეთის გადადების შესახებ პროექტი შეიტანა, განზრახულია 21 სამასწავლებლო სემინარიის დაარსება.

ლენის ოქროს მადნის მრეწველთა საზოგადოებამ აღსძრა შუამდგომლობა, რომ ირკუტსკსა და ბოდაიბოს შუა ათასი ვერსის მანძილზე რკინის გზა იქნეს გაყვანილი. შუამდგომლობას განიხილავს მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული სხდომა.

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს აცნობა ზოგიერთი ნავთის მრეწველის შუამდგომლობა, იმის შესახებ, რომ მათ საჯარო ვაჭრობამდი მიცემოდათ იჯარით სამრეწველო ადგილები ნავთის დასამუშავებლათ. ნავთის მრეწველები ამგვარ ადგილებს თხოულობდენ ბაქოს რაიონში.

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**ლისაბონი.** გრაკის მიდამოებში გლეხმა ყუმბარა ნახა. ყუმბარა აფეთქდა და გლეხი დაიჭრა.

**ბარსელონა.** უნივერსიტეტის წინ დემონსტრაცია მოხდა. დემონსტრატებმა პოლიციელებს თოფები დაუშინეს. თოფის მსროლელი ერთი ანარქისტი დააპატიმრეს. ქალაქში წესიერებაა.

**ვაშინგტონი.** გამოაქვეყნეს მთავრობის მოქმედების ვრცელი პროგრამა. რესპუბლიკის მეორე წლის ხარჯი ძალიან შეამცირეს. ხარჯი 1540 მილიონ დოლარზე დაიყვანეს.

**რომი.** გრეის წინადადებას რომში კარგათ შეხვდენ. იმედი აქვთ, რომ ამ წინადადებას ვენაში ოპოზიცია არ აღმოუჩნდება. ამრიგათ მშვიდობიანათ გადასწყდება სამხრეთ ალბანეთის საზღვრის საკითხი.

**ბერლინი.** ბერლინის მაგისტრატი იტყობინება:—მიმდინარე კვირის განმავლობაში გაიყიდა რუსეთიდან შემოტანილი 5500 ფუთი ხორცი. ამათში 3300 ფუთი ღორის ხორცი იყო.

**ვენა.** საღამოთი მოვიდა ესპანიის მეფე.

**ათინა.** პარლამენტმა პირველი კითხვის დროს საბერძნეთ-ოსმალეთის მშვიდობიანი ხელშეკრულება დაამტკიცა.

# დაბა-სოფელი.

**საჩხერე.** 25 წელიაა რაც აქ არსებობს ორკლასიანი სამრევლო შკოლა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ადგილობრივ მკვიდრთა და გარშემო სოფლებში მცხოვრებთა გათვითცნობიერების საქმეში. ხსენებულ შკოლას დიდი სიმპატია აქვს დამსახურებული ხალხის თვალში, რადგან იგი ამ ხნის განმავლობაში პირნათლათ ემსახურებოდა თავის მოწოდებას, ყოველთვის უმწიკლო იყო მასწავლებელთა შედგენილობაც და საქმეც კარგათ მიდიოდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში კი, ბედის ჩარხი უკუღმა გადატრიალდა და ამ ჟამათ შკოლას აღარა ყავს ისეთი მასწავლებლები, როგორც ი. ლამბაშიძე და ვ. აბრამიშვილი იყო. ბ-ნი ლამბაშიძე, არ ვიცით რა მიზეზით, შკოლას ჩამოშორდა და ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელში არჩია ქართული ენის მასწავლებლობა, ასევე მოიქცა ვ. აბრამიშვილიც, რომელიც სოფ. არგვეთში გადავიდა. მიუხედავათ იმისა, რომ ბატონი ლამბაშიძე ფიზიკურათ დასუსტებული და დაავადმყოფებული იყო, იგი მაინც ამას არ უდრკებოდა და არათუ შკოლას, დაუფასებელი სამსახური დასდვა თვითსაჩხერის საზოგადოებას, და ათეული წლის განმავლობაში ყოველ საკულტურო—საზოგადო საქმეს სათავეში უდგა. შკოლის მოვლა ხომ თავის ოჯახის მოვლაზე უფრო საყვარელ საქმეთ მიაჩნდა და, მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში შვილივით ეალერსებოდა მას, უვლიდა, პატრონობდა და უსაზღვრო სიყვარული ქონდა დამსახურებული თავის მოწაფეებში. დღეს კი, როგორც ზევით ვსთქვით, ასეთი მესვეური იძულებული შეიქნა დაეტოვებია თავისი საყვარელი სასწავლებელი და მეორე

## სავაჭრო სახლი
## ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
## ხ. ხრისტოდულიდის
(ფრანგეთი)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდე [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფი ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტად გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი** ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმუკაში.



დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
## ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


სასწავლებელში გადასულიყო. იგი 25 წელზე მეტია, რაც მასწავლებლობს, ამდენი ხნის განმავლობაში ქებისა და მოწონების მეტი არაფერი დაუმსახურებია უფროსი მთავრობის მხრით, მაგრამ ამ უკანასკნელთ ვერ დააფასეს მისი შრომა ღირსეულათ და ჯერ მისი პენსიის საქმეც არაა—გადაწყვეტილი. საჭიროა—იმერეთის ეპარქიალურმა სამასწავლებლო საბჭომ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მუშაკს არგუნოს იმის ნაწილი მაინც, რაც მას ერგება.

**სახჩერელი.**

—

**სოფ. არგვეთი.** ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს სოფელს წინ წაწევა ეტყობა. აქამდი არ გვქონია არავითარი კულტურული და საზოგადო დაწესებულება, გვყავდა ორი ღვდელი, მაგრამ არც ერთი მასწავლებელი. ახლა, უკვე მეორე წელია რაც გაიხსნა სასოფლო შკოლა, ხალხსაც დიდ სამსახურს უწევს განათლების მხრით, შკოლას წელს აუარებელი ყმაწვილი მიაწყდა და, იმედია, მომავალში კიდევ უფრო წინ წაიწევს საქმე. ჩვენი სოფელი არაა მოკლებული ხალხს, რომელნიც საზოგადოებისა და საზოგადო საქმეებისადმი სიყვარულით არიან გამსჭვალული. ამათი მეოხებით ჩვენს სოფელს უკვე ბიბლიოტეკა—სამკითხველოც აშვენებს, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ამ პირთა მეცადინეობით კიდევ სხვაც რამე გაკეთდება სოფლისთვის სასარგებლო. წელიწადში რამდენჯერმე იმართება ხოლმე საღამოები და წარმოდგენები, ერთი ასეთი საღამო—წარმოგენა მიხაკო მაჭავარიანის სახლში ამ სამი თვის წინათაც გაიმართა და შემოსული 200 მანეთი სამკითხველოს მოხმარდა. **გ.**

### წერილი რედაქციისადმი.

გაზეთი „მერცხალის" 72-ე-№-ში „ახალ ამბავში" მოთავსებულია ცნობები ქუთაისის სახელოსნო ბანკის შესახებ. ავტორი ამ „ახალი ამბისა", გამსჭვალული საზოგადოებისადმი ერთგულობით, აფრთხილებს ხალხს და უთითებს საზოგადოებას ბანკის ზარალზე ახალ გამგეობის ხელში. ჩვენ როგორც საქმესთან ახლოს მდგომი პირები, საჭიროთ ვსთვლით განვაცხადოთ, როგორც ბ. ბ. წევრების, ისე გარეშე საზოგადოების საყურადღებოთ, რო მოყვანილი ცნობები ბანკის ზარალზე სიმართლეს არის მოკლებული და შედეგია მხოლოდ განაწყენებული ფანტაზიისა. არ იფიქროს პატივცემულმა საზოგადოებამ, რომ ჩვენ გვინდა დავფაროთ ჭეშმარიტობა. სრულიადაც არა. პირიქით ჩვენ გადავსწყვიტეთ, მოვიწვიოთ არა-ჩვეულებრივი კრება, რათა დაწვრილებით ავუხსნათ და ნათლად დავანახოთ საზოგადოებას რა მდგომარეობაში იყო ბანკის საქმე ჩვენი წინაყოფილი გამგეობის ხელში და რა მდგომარეობაშია იგი დღეს. სამწუხაროთ მიგვაჩნია, რომ ასეთი ცრუ ცნობებით შეცთომაში შეყავს პატივცემული საზოგადოება და ნდობას უკარგავს ისეთ სიმპატიურ დაწესებულებას, როგორც არის საკრედიტო ამხანაგობის ბანკი. წინდაწინვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბანკს მომავალში ზარალი არ მოელის, თუ კი, რასაკვირველია, საზოგადოებას მასთან საქმიანი განწყობილება ექნება და ის ნდობა, რომელიც შეფერხდა ძველი გამგეობის წყალობით აღდგენილი იქნება. „მერცხლის რეპორტიორი ბანკის მოამაგეებს „დათვურ" სამსახურს უწევს თავისი ყალბი ცნობებით ბანკის მოქმედების შესახებ.

პატივის ცემით გამგეობა ქუთაისი სახელოსნო ბანკისა.

გამ. თავჯდომარე ს. ქორქოლაძე.

გამ. წევრები: გიორგი ყუფარაძე, ბესარიონ ცნობილაძე.

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, **სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვიჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



ხრესილი — სამკურნალო აბანო — ძველი თვალით ახლით მოწყობილებით.

## სამკურნალო
## აბანო
მეტრფასი მთის აერზე
## ძმ. ყორყოლაძეების

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



## ქ უ თ ა ი ს ი
პირველი კერძო- სამკურნალო- სპეციალისტი აქიმებით.
## მუდმივი საწოლებით
## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. | 8—10 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2—5^1/_2$ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2—6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძუძუს შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.



## ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია,
1860 წ. დაარს.
## „დუხი" და ვარდის ოდეკოლონი
ორიგან
იდილის
ციკლამენ
პირველი ვარდი
ორიგინალური, საუცხოო და ხანგრძლივი
იყიდება ამიერკავკასიის ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიაში.

ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ
ЗАЯВЛЕНО ДЕПАРТАМЕНТУ ТОРГОВЛИ И МАНУФАКТУРЪ
ოქროს მედალი პარიზი 1900 წ.





ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი. ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.



## კ ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში.)
იყიდება შემდეგი თხზულებანი

ანტონ ფურცელაძისა: 1. გ. საავაძე და მისი დრო (სურათ.) ფ. 1 მან.

| | | |
|---|---|---|
| მისივე | 2. თამარ დაზნელი | — 10 შ. |
| ,, | 3. მატი ხვიტია (ისტორ. რომ. სამეგ. ცხოვრ. | — 10 შ. |
| ,, | 4. ასული ისრაელისა (ხუთ მოქმედ. ტრაგ.) | — 6 შ. |
| ,, | 5. ქიტესა (მოთხრობა) | — 3 შ. |
| ,, | 6. წყალობა (ზღუმა) | — 2 შ. |
| ,, | 7. კალობრიობა და ხალხოსნობა | — 1 აბზი |
| ,, | 8. მამულის საერთო მფლობელობა | — 2 შ. |
| ,, | 9. ფული და მათი მნიშვნელობა | — 2 შ. |
| ,, | 10, ჩვენებური საქმის ბოლო | — 6 შ. |



## გამოცდილი მასწავლებელი,
ნაფიცი ვექილის თანაშემწე

**ამზადებს და ამეორებიებს** საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.

## აქვე შეიძლება მიღება რჩევა-დარიგებისა
## სამოსამართლო საქმეების შესახებ.

მოსწავლენი მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს 6—7 საათამდი. გათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.



## გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65



## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე **„კლო ყლურული"** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტ, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი სალვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე ძმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.